

# PALITRA NEWS

შპს. "პალიტრა TV", იოსებიძის #49, თბილისი 0160, საქართველო  
Palitra TV Ltd, 49 Iosebidzestr, 0160 Tbilisi, Georgia

ქ.თბილისი  
N252

25.04.2019

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის  
თავმჯდომარეს ბ-ნ კახი ბექაურს

## განცხადება

საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ გასული წელის ანგარიშს, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- შპს „პალიტრა TV“-ს დაფინანსების წყარო(ები)ს გასულ წელს წარმოადგენდა შემოსავლები რეკლამიდან და კაპიტალი.
- შპს „პალიტრა TV“-ს თვითრეგულირების ორგანოში გასულ წელს მიღებულ იქნა 0 საჩივარი.
- შპს „პალიტრა TV“-ს გასულ წელს მიეცა 1 (ერთი) გაფრთხილება კომისიის მიერ, კომპანის მიერ განხორციელებულია საქმიანობა კანონმდებლობისა და სამაუწყებლო კონცეფციის დაცვით.

წინამდებარე წერილს დანართის სახით თან ერთვის აუდიტის დასკვნა.

ინგა დადიანი

შპს "პალიტრა TV"-ის დირექტორი



# შპს FinLine

## აუდიტორული ფირმა

სახელმწიფო რეესტრი  
SARAS-F-329711

საიდენტიფიკაციო კოდი

404913153

599 11 01 96  
T-218-08-59

E-MAIL t.kokeladze@gmail.com

24 აპრილი 2019 წელი

№--

### აუდიტორული დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შ.პ.ს “პალიტრა TV” -ის თანდართული საბალანსო ანგარიშგების აუდიტი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული შემოსავლების ანგარიშგების აუდიტი ამავე თარიღით დამთავრებული წლისათვის.

აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებებზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა, ჩვენ კი გვევალება, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე და გავცეო დასკვნა.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვენ აუდიტის იმგვარად დაგეგმარებასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავენ თუ არა ფინანსური ანგარიშგებები არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და შეფასებების სისწორის დადგენას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

შპს “პალიტრა TV” მიერ წარმოდგენილი ანგარიშგების განხილვით დადასტურებულია, რომ საწყისი და საბოლოო ნაშთების გადატანა პალანსსა და წლიური ანგარიშგების სხვა ფორმებში ნაწარმოებია სწორად და სრულად შესაბამისობაშია ბუღალტრული რეესტრებისა და რეგისტრების ჩანაწერებთან.

შპს “პალიტრა TV” მიერ 2018 წლის განმავლობაში საბალანსო მონაცემებით მიღებული სულ შემოსავლები შეადგენს 565100,42 ლარს, საიდანაც სარეცდამო შემოსავლები 564754,38 ლარია, სხვა შემოსავლები 321,19 ლარი და არასაოპერაციო შემოსავლები 24,85 ლარი. საოპერაციო და არასაოპერაციო

ხარჯები კი 1314687,15 ლარს შეადგენს. შესაბამისად შპს „პალიტრა TV“-ს საანგარიშო პერიოდის ზარალმა -749586,73 ლარი შეადგინა.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „პალიტრა TV“-ს აქტივები 424430,82 ლარს და პასივები 424430,82 ლარს შეადგენდა. 2018 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში დამფუძნებლისაგან მიღებულმა ინვესტიციამ შეადგინა 711700 ლარი და შესაბამისად 2018 წლის დასასრულისთვის შეადგინა 2976260 ლარი.

ჩვენი აზრით, შ.პ.ს „პალიტრა TV“-ს ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და მისი საქმიანობის შედეგებს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „FineLine“

დირექტორი – აუდიტორი

